ემოციური ინტელექტის როლი უკუკავშირსა და თანამშრომლის მოტივაციაზე

ნინო რუსია

ნინო ცქიმანაური

სალომე სანიკიძე

ჯგუფი: N2

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ჯინჭველიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2018)

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო რუსია

ნინო ცქიმანაური

სალომე სანიკიძე

20.06.2018 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეამოწმოს მენეჯერების ემოციური ინტელექტი რამდენად არის დაკავშირებული ეფექტური უკუკავშირის გაცემასა და თანამშრომლების მოტივაციასთან. ემოციური ინტელექტის დონე განსზაღვრავს თუ როგორ შეუძლიათ ინდივიდებს მიიღონ კონკრეტული, პოზიტიური ან თუნდაც ნეგატიური მათკენ მიმართული ინფორმაცია და პირიქით, როგორ გასცენ მათთვის მნიშვნელოვანი მოსაზრება. ხელმძღვანელის მიერ გაცემული უკუკავშირი გავლენას ახდენს თანამშრომლის განწყობაზე, დამოკიდებულებებზე, როგორც პიროვნული ისე პროფესიული მიმართულებით, თანამშრომელთა მიერ სამუშაოების შესრულებაზე და მათ მოტივაციაზე.

ნაშრომში წარმოდგენილია ორი კვლევა, რომელთა მიზანი იყო მენეჯერებსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობების შესწავლა. მენეჯერთა ემოციური ინტელექტის გავლენის დახასიათება თანამშრომელთა შრომით კმაყოფილებაზე და მათი მოტივაციის ამაღლებაზე. შესაბამისად, კვლევის შედეგებით შეფასდა სხვადასხვა კომპანიებში მომუშავე 35 მენეჯერის, მათ შორის 14 მამაკაცი და 21 ქალი, ემოციური ინტელექტის მახასიათებლები. ასევე, გამოიკითხა მენეჯერების 72 დაქვემდებარებული, რის შედეგადაც გამოვლინდა დამოკიდებულებები ხელმძღვანელის მიმართ, შეფასდა ხელმძღვანელის უკუკავშირი და თანამშრომელთა მოტივაციის ძირითადი მახასიათებლები.

საძიებო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, უკუკავშირი, მოტივაცია.

Abstract

The purpose of the presented work is to check how manager's emotional intelligence influences an effective feedback and employee motivation. A level of emotional intelligence determines how an individual's perceives specific, positive or even negative information and wise versa how she/he gives his/her opinion. A feedback given by a manager influences the mood, attitude, work performance in both personal and professional directions and motivation of employees.

In this work two studies are presented and their purpose is to study relationships between employees and managers. It describes how a manager's emotional intelligence influences an employee work satisfaction and enhances his/her motivation. Based on the research results the degrees of emotional intelligence of 35 managers, working in different companies were evaluated, among which were 14 men and 21 women. 72 employees also participated in the research, based on the results the attitudes toward the managers were revealed and manager's feedback and degrees of employee motivation were evaluated.

Key words: emotional intelligence, feedback, motivation.